შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ტექნიკური აღჭურვილობა	5-6
ავეჯი და სხვა	4-6
აგტომობილები	8

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა საოპერაციო მოგება/ზარალი.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

გვერდი 16 - 41

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სადირიჯებო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი. კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ და როდესაც მისი შეფასება საიმედოდ შესაძლებელია.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ გაიცემა ნებაართვა ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე, აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

2022 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსში (სსკ) ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნულ ცვლილებებს კომპანიაზე აქვს შემდეგი გავლენა: აღნიშნულ ცვლილებამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული იყო, რომ საბანკო დაწესებულებები, საკრედიტო კავშირები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტები მოგების გადასახადის ახალი (ესტონური) რეჟიმით დაიბეგრებოდნენ 2023 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებამ განსაზღვრა, რომ დროითი განრიგი აღარ დაწესდება და მომავალში ეს სუბიექტები დაიბეგრებიან ისევე ძველი რეჟიმით, კერძოდ ერთობლივ შემოსავალსა და სსკ-ის მიერ გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობის მიხედვით (97-ე მუხლი, მე-12 ნაწილი).

ამხილვა შემოწმებულია

კომპანიის მნიშვნელოვანი სადარცხევო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიქვითება.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის პერიოდებისთვის საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

გადასახადების გადახდა ხდება ბაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად, კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენილია ურთიერთგადახურვით.

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას; და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის უნდა მოიცავდეს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანიამ აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით უნდა შეაფასოს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომელსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება ცვდება წრფივი მეთოდით საიჯარო ვადის დასრულებამდე ან აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის ზოლომდე, თუ, როგორც იშვიათად, მომსახურების ვადა უფრო მცირეა ვიდრე იჯარის ვადა.

როდესაც კომპანია ხელახლა აფასებს იჯარის რომელიმე პირობას (მაგალითად, როდესაც იგი აფასებს იჯარის გახანგრძლივების ალბათობას ან შეწყვეტის უფლების გამოყენებას), იგი აკორექტირებს საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულებას რათა ზუსტად ასახოს გადასინჯული პირობების შესაბამისი მომავალი გადახდები, რომელიც დადისკონტირებულია გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ჩვეულებრივ გადასინჯება როდესაც მომავალი გადახდების ცვლადი ნაწილი დამოკიდებულია განაკვეთზე ან გადასინჯება ინდექსი, რომლის დროსაც დადისკონტირების განაკვეთი რჩება უცვლელი. ორივე შემთხვევაში აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულებაც ეკვივალენტური თანხით კორექტირდება, რომელიც გაიციფრება დარჩენილი (გადასინჯული) საიჯარო ვადის მანძილზე. თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია უნდა აისახოს, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.

ამხნა ზ. მამუკაძე

3. უმჯანის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია საიჯარო მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივის გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამოყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადადმდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ოჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ოჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს ოჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს ოჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს ოჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს ოჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს ოჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა ოჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა ოჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზედრული სასესიო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (ოჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/ გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დახალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოცულობას.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსური ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსური ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

შესყიდული სესხების პორტფელი. შესყიდული სესხების პორტფელი წარმოადგენს შემენილ გაუფასურებელ ფინანსურ აქტივებს. სესხების პორტფელის შეძენის მომენტში ხელმძღვანელობა ახდენს მსესხებლების სეგმენტაციას სხვადასხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით და განსაზღვრავს პორტფელის ხარისხს, რის შედეგადაც ადგენს თითოეული სესხის პორტფელისთვის შესყიდვის მისაღებ ღირებულებას. პორტფელის შესყიდვის შემდგომ ხელმძღვანელობა დადგენილი პერიოდულობით აანალიზებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მომავალი ფულადი ნაკადების შემოდინების დროულობა, მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობა. ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი სუბიექტურია და სესხების არსებობის მანძილზე შეიძლება გამოიწვიოს შეფასების მნიშვნელოვანი ცვლილებები. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს შესყიდული სესხების პორტფელის ამორტიზებული ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება.

შემენილი პორტფელის საწყისი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული დანახარჯებით, რომელიც პორტფელის შესყიდვის პირდაპირ დანახარჯებს წარმოადგენს და შემდეგ აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, რომლისთვისაც გამოყენებულია საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რაც განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას და ემატება/აკლდება შემდგომი გაუფასურების ხარჯი/კომპენსირება.

აქტივი თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ამორტიზებული ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება განისაზღვრება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც იანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იანგარიშება თავდაპირველი აღიარებისას და ეხება სესხების საბალანსო ღირებულების პერიოდულ უცვლელ უკუგებას.

მისაღები წესები

პირდაპირი სადარიცხო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

პირდაპირი მონაცემები კომპანიის ხელმძღვანელობას ეხმარება შეაფასოს მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა მომავალ ფულად ნაკადებზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა პერიოდულად განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ახალი ფაქტორი, რაც მნიშვნეულ შეფასების ცვლილებას შეიძლება გამოიწვიოს.

- მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზის ცვლილება. შესყიდული სასესხო პორტფელიდან მისაღები ფულადი ნაკადების პროგნოზის მონიტორინგს კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს ყოველ კვარტალურად. ფულადი ნაკადების პროგნოზის ცვლილება აღიარდება, როგორც შეფასების ცვლილება, როდესაც პროგნოზირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფაქტობრივი ფულადი ნაკადებისგან (დეტალები მოცემულია მე-17 შენიშვნაში).

- ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, რომელიც წამოადგენს პორტფელის შესყიდვის დროს გამოყენებულ ნაგულისხმევ საპროცენტო განაკვეთს (IRR) და ინდივიდუალურად განისაზღვრება თითოეულ შესყიდულ პორტფელთან მიმართებაში სესხების ამოღების დანახარჯების გათვალისწინების გარეშე.

სესხების პორტფელის შეძენის მომენტში კომპანია ითვალისწინებს სხვადასხვა მნიშვნელოვან მაჩვენებელს, რომელიც გავლენას ახდენს პორტფელის ხარისხსა და ამოღების მაჩვენებელზე, რის შედეგადაც ადგენს თითოეული სესხის პორტფელისთვის შესყიდვის მისაღებ ღირებულებას.

მომავალი ფულადი ნაკადების შემოღების დროულობისა და მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობის შეფასება, ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს მნიშვნელოვან მსჯელობებს, რაც მოიცავს ზარალის არსებობას, თანხებსა და გადახდების დროულობას. ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი სუბიექტურია და სესხების არსებობის მანძილზე შეიძლება გამოიწვიოს შეფასების მნიშვნელოვანი ცვლილებები. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს შესყიდული სესხების პორტფელის ამორტიზებული ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება.

იჯარის ვადების განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საწარმო აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. საწარმო ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელი ცვლილებები. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელ ფაქტორებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება:

ა) არჩევით პერიოდებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობები, საბაზრო განაკვეთებთან შედარებით, როგორიცაა:

- (i) საიჯარო გადახდების ოდენობა ნებისმიერ არჩევით პერიოდში;
- (ii) ცვლადი საიჯარო გადახდების ან სხვა პირობითი გადახდების სიდიდე;
- (iii) ნებისმიერი არჩევანის უფლების პირობები, რომლებიც გამოყენებას ექვემდებარება თავდაპირველი არჩევითი პერიოდების შემდეგ.

ბ) საიჯარო ქონების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც განხორციელდა (ან მოსალოდნელია, რომ განხორციელდება) ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს მოიჯარეს, როდესაც შესაძლებელი იქნება იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების რეალიზება;

გ) იჯარის ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები, როგორიცაა მოლაპარაკებების წარმოების დანახარჯები, აქტივის გადაადგილების დანახარჯები, სხვა საიჯარო აქტივის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც მოიჯარის საჭიროებების შესაფერისია, მოიჯარის ოპერაციებში ახალი აქტივის ინტეგრირების დანახარჯები, ან იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის განკუთვნილი ჯარიმები და სხვა ანალოგიური დანახარჯები, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია საიჯარო აქტივისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობის, ან საიჯარო აქტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილზე დაბრუნებასთან;

დ) საიჯარო აქტივის მნიშვნელობა მოიჯარის საქმიანობისთვის, მათ შორის, შემდეგი ასპექტების გათვალისწინება: საიჯარო აქტივი სპეციალიზებული აქტივია თუ არა, საიჯარო აქტივის ადგილმდებარეობა და შესაფერისი ალტერნატიული ვარიანტების არსებობა; და

ამხილეთ ნაშთები

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ე) არჩევანის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული პირობითობა (ე.ი. როდესაც არჩევანის უფლების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ერთი ან რამდენიმე პირობა დაკმაყოფილებულია) და ამ პირობების მატერიალიზების ალბათობა.

დეტალები იჯარის ვადების განსაზღვრასთან დაკავშირებით, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. კომპანიამ გამოიყენა ერთი და იგივე დისკონტირების განაკვეთი მეტ-ნაკლებად ანალოგიური მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებაში;

დეტალები ზღვრული სასესხო განაკვეთის შესახებ, იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადის გაანგარიშებისთვის კომპანია იყენებს ფასიკ 23-ის ინტერპრეტაციას - „მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა“. ინტერპრეტაციის მიხედვით თუ კომპანია დაასკვნის, რომ მოსალოდნელი არ არის, საგადასახადო ორგანო დაეთანხმოს გაურკვეველ საგადასახადო მიდგომას, ის ამ გაურკვევლობის გავლენას ითვალისწინებს შესაბამისი დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრისას.

კომპანია თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომისთვის გაურკვევლობის გავლენას ასახავს ქვემოთ განხილული მეთოდებიდან ერთ-ერთის გამოყენებით, იმისდა მიხედვით, კომპანიის აზრით, რომელი მეთოდის გამოყენებით უფრო უკეთ არის შესაძლებელი გაურკვევლობის გადაჭრის შედეგის პროგნოზირება:

ა) ყველაზე მაღალი ალბათობის მოსალოდნელი ღირებულება - შესაძლო შედეგების დიაპაზონიდან აღებული ერთადერთი, ყველაზე მაღალი ალბათობის მოსალოდნელი სიდიდე. ყველაზე მაღალი ალბათობის მოსალოდნელი ღირებულების მეთოდით იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი უფრო უკეთ გაურკვევლობის გადაჭრის შედეგის პროგნოზირება, თუ შესაძლო შედეგი მხოლოდ ორია, ან შესაძლო შედეგები კონცენტრირებულია ერთი სიდიდის გარშემო;

ბ) მოსალოდნელი ღირებულება - შესაძლო შედეგების დიაპაზონიდან აღებული ალბათობებით შეწონილი სიდიდეების ჯამი. მოსალოდნელი ღირებულების მეთოდით იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი უფრო უკეთ გაურკვევლობის გადაჭრის შედეგის პროგნოზირება, თუ შესაძლო შედეგების დიაპაზონში შესაძლო შედეგების რაოდენობა ორზე მეტია და ერთი სიდიდის გარშემო არ არის კონცენტრირებული.

საგადასახადო კოდექსი არ არეგულირებს სასესხო პორტფელებიდან მიღებული შემოსავლის და გამოქვითვის სპეციფიკას, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, ფასების მიხედვით აღრიცხვა მოგების გადასახადის მიზნებისთვის სხვა მეთოდებთან შედარებით ყველაზე მეტად უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრას. ხელმძღვანელობის შეფასება ფასის-ის მიხედვით მოგების გადასახადის დათვლის მეთოდის ირგვლივ არის კონცენტრირებული, ამიტომ მოგების გადასახადისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნებისთვის კომპანიამ გამოიყენა ფასის-ების მიხედვით აღრიცხვა. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ მე-12 შენიშვნა.

დირექტორი, ნიკოლოზი

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ფინანსურ ინსტრუმენტებით შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ლეზულობს ყოველთვის ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური განყოფილებისგან, მიმოიხილავს დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის, დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2023	31.12.2022
შესყიდული სესხების პორტფელი	57,287,313	53,446,719
გაცემული სესხები	248,358	449,257
სხვა აქტივები	245,957	243,685
საბანკო დეპოზიტები	-	6,360,633
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,344,304	536,258
სულ ფინანსური აქტივები	59,125,932	61,036,552
ფინანსური ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
მიღებული სესხები	26,204,653	31,827,765
საიჯარო ვალდებულებები	2,070,052	1,544,900
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	888,893	1,926,416
სულ ფინანსური ვალდებულებები	29,163,598	35,299,081

ფას 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფას 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

დირექტორი

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მითითილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას კაპიტალის ზრდით, დივიდენდების განაწილებით და ა.შ.

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებაში კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით და ა.შ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

• საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისათვის კომპანიის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია ლარში.

Handwritten signature in blue ink.

მპს ფინანსური

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის როგორც არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალებადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულებების თანხა მთელი პერიოდის განმავლობაში დაუფარავი იყო.

100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონიერულობის ფარგლებში.

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023		2022
	პროცენტის ზრდა 100 საბაზისო ერთეულით	პროცენტის შემცირება 100 საბაზისო ერთეულით	პროცენტის ზრდა 100 საბაზისო ერთეულით
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(262,047)	262,047	(211,250)
			211,250

• სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,237,061	21,427	85,816	1,344,304
გაცემული სესხები	248,358	-	-	248,358
შესყიდული სესხების პორტფელი	55,553,851	1,733,462	-	57,287,313
	57,039,270	1,754,889	85,816	58,879,975
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	26,204,653	-	-	26,204,653
საიჯარო ვალდებულება	540,486	1,529,566	-	2,070,052
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	888,893	-	-	888,893
	27,634,032	1,529,566	-	29,163,598
ღია საბალანსო პოზიცია	29,405,238	225,323	85,816	
ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2022
ფული და ფულის ეკვივალენტები	511,144	24,913	201	536,258
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	6,360,633	-	-	6,360,633
გაცემული სესხები	449,257	-	-	449,257
შესყიდული სესხების პორტფელი	51,438,647	2,008,072	-	53,446,719
	58,759,770	2,032,896	201	60,792,867
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	31,827,765	-	-	31,827,765
საიჯარო ვალდებულება	366,614	1,178,286	-	1,544,900
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,926,416	-	-	1,926,416
	34,120,795	1,178,286	-	35,299,081
ღია საბალანსო პოზიცია	24,638,975	854,610	201	

ამონტაჟი პატივს -

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა წმინდა მოგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მოგება/(ზარალი)	ლარი/ აშშ დოლარი	ლარი/ აშშ დოლარი	ლარი/ ევრო	ლარი/ ევრო
	20%	-20%	20%	-20%
31.12.2023	45,065	(45,065)	17,163	(17,163)
31.12.2022	170,940	(170,940)	40	(40)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი განპირობებულია შესყიდული სესხების პორტფელიდან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მართვა შეძენილ სასესხო პორტფელთან მიმართებაში ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ხელმძღვანელობის მიერ რისკის მართვა თავდაპირველად იწყება პორტფელის შესაძენად გადასახდელი ფასის განსაზღვრის დროს.

შეძენილ სასესხო პორტფელთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი იმართება ხელმძღვანელობის მიერ რათა განისაზღვროს სესხის პორტფელის შესაძენად გადასახდელი თვდაპირველი ფასი. შესყიდული სესხების პორტფელები როგორც წესი არაუზრუნველყოფილი სესხებია, რაც ამცირებს საჭირო ინვესტიციის მოცულობას და მნიშვნელოვნად ამარტივებს პორტფელების მართვას, უზრუნველყოფილი სესხების მართვისგან განსხვავებით. როგორც წესი სასესხო პორტფელის შესყიდვა ხდება სესხის ნომინალურ ღირებულებაზე გაცილებით დაბალ ფასად და ამასთან კომპანიას გადმოეცემა უფლება მისაღებ მთლიან ფულად ნაკადებზე, მათ შორის საპროცენტო სარგებელსა და საკომისიოზე.

შესყიდვის დროს შეძენილი სესხის თითოეული პორტფელი აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელსაც ემატება პირდაპირი შესყიდვის დანახარჯები, შემდგომ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის მიერ შეძენილი ყველა სესხის პორტფელი თავისი ბუნებით გაუფასურებულია შესყიდვის მომენტშივე, რაც ასახულია პორტფელის საწყისი აღიარების დროს მის რეალურ ღირებულებაში. ამორტიზებული ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ისტორიული მონაცემები კომპანიის ხელმძღვანელობას ეხმარება შეაფასოს მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა მომავალ ფულად ნაკადებზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დაიანგარიშება თვდაპირველი აღიარებისას და ასახავს სესხის საბალანსო ღირებულების პერიოდულ ამოღებებს.

ხელმძღვანელობა მუდმივად ამოწმებს ფულად ნაკადებსა და შესყიდული სესხების პორტფელის საბალანსო ღირებულებებს. პორტფელის გაუფასურებაზე შეფასება ხდება ყოველთვის, როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომ შესყიდული სესხების პორტფელი არის გაუფასურებული. გაუფასურება აღიარდება როდესაც პროგნოზირებული ფულადი ნაკადი აჭარბებს რეალურ ფულად ნაკადს. გაუფასურების ხარჯი აისახება შეფასების ცვლილებაში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ ხასიათდება კონცენტრირებული საკრედიტო რისკით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით.

ფინბიურო, პატივით

ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მინიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური აქტივები		
შესყიდული სესხების პორტფელი	57,287,313	53,446,719
გაცემული სესხები	248,358	449,257
სხვა აქტივები	245,957	243,685
საბანკო დეპოზიტები	-	6,360,633
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,344,304	536,258
	59,125,932	61,036,552

გაცემული სესხები, საბანკო დეპოზიტები, სხვა აქტივები და ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოადგენენ „არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული“ ფინანსური აქტივების კატეგორიას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და მირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ხელმძღვანელი გუნდი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესია.

ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	12,013,372	20,820,068	-	32,833,440
საიჯარო ვალდებულება	963,716	1,344,949	-	2,308,665
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	12,977,088	22,165,017	-	35,142,105
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	888,893	-	-	888,893
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,865,981	22,165,017	-	36,030,998

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	32,449,539	6,521,403	-	38,970,942
საიჯარო ვალდებულება	934,598	691,705	-	1,626,303
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	33,384,137	7,213,108	-	40,597,245
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,926,416	-	-	1,926,416
სულ ფინანსური ვალდებულებები	35,310,553	7,213,108	-	42,523,661

ამხნა, შიხიგა

მედიურო

ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

6. ამონაგები

	2023	2022
შესყიდული სესხების პორტფელის ამორტიზაცია	25,291,221	25,009,080
შეფასების ცვლილება	4,567,949	4,508,433
	<u>29,859,170</u>	<u>29,517,513</u>

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2023 წელს შეადგენს 1,382,595 ლარს, და წარმოადგენს ვადაგადასული საგადასახადო ვალდებულების ჩამოწერიდან მიღებულ შემოსავალს.

2022 წელს სხვა შემოსავალს შეადგენს 545,012 ლარი. სხვა შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს 2022 წელს (ჯამურად 250,993 ლარი), წარმოადგენს შპს კრიმ ფინანს ჯორჯიას მიმართ არსებული ვალდებულების ჩამოწერა. შპს "კრიმ ფინანს ჯორჯიამ" დაარღვია სესხების პორტფელის გაყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რის გამოც კომპანიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ჩამოწერა შპს "კრიმ ფინანს ჯორჯიას" მიმართ არსებული ვალდებულება.

8. სესხის პორტფელის მართვასთან დაკავშირებული ხარჯები

	2023	2022
სესხის ამოღებასთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯი	(9,595,317)	(9,426,718)
სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე	(993,090)	(3,867,706)
	<u>(10,588,407)</u>	<u>(13,294,424)</u>

9. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება 2023 წელს მოიცავს სახელფასო ხარჯებსა და თანამშრომელთა სხვა სარგებელს 3,400,859 ლარის ოდენობით (2022: 3,009,797 ლარი).

10. სხვა ხარჯები

	2023	2022
კომუნიკაციის ხარჯი	(708,008)	(783,342)
საოფისე ხარჯი	(353,892)	(398,250)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი	(273,592)	(330,431)
კომუნალური ხარჯი	(270,052)	(312,164)
რეკლამის ხარჯი	(180,010)	(331,072)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(166,687)	(213,405)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(118,600)	(31,336)
საწვავის ხარჯები	(91,350)	(127,423)
მივლინების ხარჯი	(51,955)	(35,808)
დაცვის ხარჯი	(47,809)	(44,525)
დაზღვევის ხარჯი	(8,665)	(9,274)
რემონტისა და შეკეთების ხარჯი	(5,965)	(3,400)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(3,618)	(65,930)
სხვა ხარჯი	(186,626)	(231,881)
	<u>(2,466,829)</u>	<u>(2,918,241)</u>

ამონაგები, შენიშვნა

11. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

საპროცენტო შემოსავალი	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	385,332	747,146
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	33,670	72,473
	<u>419,002</u>	<u>819,619</u>
საპროცენტო ხარჯი	2023	2022
მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯი	(4,187,138)	(3,299,587)
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	(126,503)	(170,995)
	<u>(4,313,641)</u>	<u>(3,470,582)</u>

12. მოგების გადასახადის ხარჯი

მიმდინარე მოგების გადასახადი	2023	2022
დროებითი სხვაობების წარმოქმნასთან და ჩამოწერასთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის ხარჯი	(1,637,643)	(829,820)
გადასახადის განაკვეთის გაზრდით წარმოქმნილი გადავადებული გადასახადის ხარჯი (+5%)*	69,416	(66,945)
	-	(4,448)
	<u>(1,568,227)</u>	<u>(901,213)</u>
მოგება დაბეგრამდე	2023	2022
მოგების გადასახადის განაკვეთი	9,747,803	6,921,532
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი	20%	15%
გადასახადის განაკვეთის ზრდის გავლენა მუდმივ სხვაობებზე (+5%)*	(1,949,561)	(1,038,230)
მუდმივი სხვაობების ეფექტი**	-	(3,771)
	381,334	140,788
	<u>(1,568,227)</u>	<u>(901,213)</u>

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ კომპანიისგან, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

მნიშვნელოვანი გარემოებების ამსახველი აზრები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 25-ე შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ კომპანია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებს მიღებული სესხების ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ გარკვეულ მოთხოვნებს. აღნიშნული დარღვევების გამო გამოსესხებულეს აქვთ უფლება მოითხოვონ სესხების (11,011,674 ლარი) დაფარვა, რომლებიც 21-ე შენიშვნაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია როგორც გრძელვადიანი სესხები. საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე კომპანიამ მიიღო პატიების წერილები ბანკებისგან, რომლებმაც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნების დარღვევის მიუხედავად უარი თქვეს სესხის დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაზე. ჩვენი დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელზეც პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა და რომელიც შეიტანება მმართველობის ანგარიშგებაში, არ გვქონდა მიღებული აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. სავარაუდოდ, მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე

დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევლება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

დავით დარსაველიძე (SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

19 აპრილი 2024

შპს ფინბიურო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	6	29,859,170	29,517,513
სხვა შემოსავალი	7	1,382,595	545,012
სესხის პორტფელის მართვასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	8	(10,588,407)	(13,294,424)
შრომის ანაზღაურება	9	(3,400,859)	(3,009,797)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,169,685)	(1,176,311)
სხვა ხარჯები	10	(2,466,829)	(2,918,241)
საოპერაციო მოგება		13,615,985	9,663,752
ფინანსური შემოსავალი	11	419,002	819,619
ფინანსური ხარჯი	11	(4,313,641)	(3,470,582)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		26,457	(91,257)
მოგება დაბეგვრამდე		9,747,803	6,921,532
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(1,568,227)	(901,213)
მთლიანი სრული შემოსავალი		8,179,576	6,020,319

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 19 აპრილს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

დავით აღსაბაძე

ფინანსური დირექტორი

ლიკა გოგაძე

შპს ფინბიურო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	1,344,304	536,258
საბანკო დეპოზიტები	14	-	6,360,633
გაცემული სესხები	15	248,358	449,257
სხვა აქტივები	16	405,353	371,334
შესყიდული სესხების პორტფელი	17	57,287,313	53,446,719
გადავადებული მოგების გადასახადი	12	51,625	-
არამატერიალური აქტივები		48,803	63,707
აქტივების გამოყენების უფლება	18	2,004,906	1,502,475
ძირითადი საშუალებები	19	550,859	774,160
სულ აქტივები		61,941,521	63,504,543
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
გადავადებული მოგების გადასახადი	12	-	17,791
საგადასახადო ვალდებულებები	20	3,779,019	3,226,905
საიჯარო ვალდებულებები	18	2,070,052	1,544,900
მიღებული სესხები	21	26,204,653	31,827,765
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	888,893	1,926,416
სულ ვალდებულებები		32,942,617	38,543,777
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	23	195,044	195,044
გაუნაწილებელი მოგება		28,803,860	24,765,722
სულ კაპიტალი		28,998,904	24,960,766
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		61,941,521	63,504,543

10-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ფინბიურო

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.12.2021	195,044	20,915,186	21,110,230
გამოცხადებული დივიდენდი	-	(2,169,783)	(2,169,783)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	6,020,319	6,020,319
31.12.2022	195,044	24,765,722	24,960,766
გამოცხადებული დივიდენდი	-	(4,141,438)	(4,141,438)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	8,179,576	8,179,576
31.12.2023	195,044	28,803,860	28,998,904

შპს ფინბიურო

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
შესყიდული სესხების პორტფელიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი		25,291,221	25,009,080
დეპოზიტებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი		804,965	725,654
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(10,493,353)	(10,571,152)
სასამართლო ბაჟი		(993,090)	(3,867,696)
სხვა ხარჯები		(2,004,537)	(2,554,214)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(2,325,755)	(2,560,960)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე		10,279,451	6,180,712
 შესყიდული სესხების პორტფელის ძირის მიღება		9,718,974	7,568,152
სესხების პორტფელის შესყიდვა		(10,295,630)	(24,187,338)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		9,702,795	(10,438,474)
 ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(30,600)	(198,018)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	65,595
არამატერიალური აქტივების შეძენა		(12,343)	(32,207)
სესხების გაცემა		-	(326,772)
გაცემული სესხებიდან ფულის მიღება		-	135,300
საბანკო დეპოზიტების ზრდა		6,000,717	2,681
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდიდება/(გადიდება) საინვესტიციო საქმიანობიდან		5,957,774	(353,421)
 ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხის მიღება		12,075,501	34,078,246
სესხის გადახდა		(17,700,962)	(21,247,071)
საიჯარო ვალდებულების ძირი თანხის გადახდა		(777,395)	(706,816)
საიჯარო ვალდებულების პროცენტის გადახდა		(126,503)	(170,995)
სესხებზე გადახდილი პროცენტები		(4,184,789)	(3,325,567)
გადახდილი დივიდენდები		(4,141,438)	(2,169,783)
(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული)/ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(14,855,586)	6,458,014
ფულადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შედეგი		3,063	(4,151)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		808,046	(4,338,032)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	536,258	4,874,290
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	1,344,304	536,258

10-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ფინბიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ფინბიურო” (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 419995599, დაფუძნდა 2015 წლის მაისში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სესხების მართვა, სპეციალიზებულია სესხების შესყიდვასა და კუთვნილი სესხების პორტფელიდან ამოღებებზე. კომპანია 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს 20 ფილიალს საქართველოს მასშტაბით (2022: 18).

2019 წლის მაისში კომპანიას მიენიჭა სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსი. აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიის საქმიანობა მოქცეულია ეროვნული ბანკის რეგულირების ქვეშ. აღნიშნული რეგულაციების მიხედვით სესხის გამცემი სუბიექტები გათანაბრებულნი არიან ფინანსურ ინსტიტუტებთან.

კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტიორთა კრება.

კომპანიის ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს პარტიორთა კრება. კომპანიის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული ხელმძღვანელთა გუნდი, წარმოდგენილი ხელმძღვანელთა საბჭოს სახით.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილობრივი ფლობის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ვახტანგ ოთხმეზური	30%	30%
მალხაზ ბუღდიაშვილი	30%	30%
ფინანსური ინვესტიციების კომპანია	40%	40%
	100%	100%

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო ბენეფიციარ მფლობელებს წარმოადგენენ ვახტანგ ოთხმეზური და მალხაზ ბუღდიაშვილი, თითოეული 50%-იანი წილით.

კომპანიის სათაო ოფისის მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, წყალტუბოს ქ., N10. კომპანიის ღირებულებით ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღით არის დავით აღსაბაძე.

2. მომზადების საფუძველები

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, დამრგვალების გარეშე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებებზე. ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

კომპანიას აქვს სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსი და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირებით გათანაბრებულია ფინანსურ ინსტიტუტებთან. ამ ფაქტიდან გამომდინარე კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წარადგენს ლიკვიდურობის საფუძველზე.

ფინანსურ ანგარიშგებაში სეგმენტური ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი, რადგან კომპანიას აქვს საქმიანობის მხოლოდ ერთი არსებითი სეგმენტი.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობა მისი მიზნების მისაღწევად და შესასრულებლად.

კომპანიის ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი, რომ კომპანიას, მთლიანობაში, აქვს საკმარისი რესურსი, ფუნქციონირების გასაგრძელებლად, ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას კომპანიის შესაძლებლობას, გააგრძელოს ფუნქციონირება პროგნოზირებად მომავალში.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

ფასს 17-ის გამოცემის შემდეგ, სტანდარტში შევიდა შესწორებები და გადავადდა ძალაში შესვლის თარიღი.

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნულ ცვლილებებს არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბას 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა აგენდა გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს 16-ის ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვრიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ.

შპს ფინბიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით. ბანკის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები).

შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სხვა

კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შეფასების და წარსადგენი ვალუტა

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტაში არსებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს შესყიდული სესხების პორტფელს, სხვა აქტივებს, საბანკო დაწესებულებებში განთავსებულ დეპოზიტებსა და ფულს და ფულის ეკვივალენტებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL)

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღით აფასებს ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კალკულაციისთვის იყენებს ყველა მიზანშეწონილ და დასაბუთებად ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მისაღები დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

- შესყიდული სასესხო პორტფელი

კლასიფიკაცია. შესყიდული სასესხო პორტფელი წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან აქტივებად. სასესხო პორტფელის ის ნაწილი, რომლის დაფარვასაც კომპანიის ხელმძღვანელობა ელოდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეში, წარმოდგენილია, როგორც მოკლევადიანი აქტივები.

შემდგომი აღიარება. შესყიდვის დროს შეძენილი სესხის თითოეული პორტფელის აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, რომელსაც ემატება პირდაპირი შესყიდვის დანახარჯები, შემდგომ კი ამორტიზებული ღირებულებით. ამორტიზებული ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურება. ხელმძღვანელობა პერიოდულად აფასებს მომავალ ფულად ნაკადებს და შესაბამისად შეძენილი პორტფელების მიმდინარე ღირებულებას. გაუფასურების მონიტორინგი ხდება რეგულარულად. პორტფელის გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც პროგნოზირებული ფულადი ნაკადი აჭარბებს რეალურ ფულად ნაკადს. გაუფასურების ხარჯი აისახება შეფასების ცვლილებაში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. როდესაც რეალური ფულადი ნაკადი აჭარბებს პროგნოზირებულ ფულად ნაკადებს, შეფასების ცვლილებაში აღიარდება გაუფასურების კომპენსირება.

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები/გაცემული სესხები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები/გაცემული სესხები აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, და რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების/გაცემული სესხები სრულ ღირებულებას არეზერვებს, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა/გაცემული სესხები აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების/გაცემული სესხები არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს/გაცემული სესხები აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების/გაცემული სესხები გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების/გაცემული სესხები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სავაჭრო მოთხოვნები. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა მოთხოვნები წარდგენილია სხვა აქტივების კლასიფიკაციით.

- ფული და ფულის ეკვივალენტები/საბანკო დეპოზიტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში და დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები/საბანკო დეპოზიტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ფინანსური აქტივების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება. ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ტექნიკური აღჭურვილობა	5-6
ავეჯი და სხვა	4-6
ავტომობილები	8

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა საოპერაციო მოგება/ზარალი.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი. კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ და როდესაც მისი შეფასება საიმედოდ შესაძლებელია.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ გაიცემა ნებართვა ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე, აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

2022 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსში (სსკ) ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნულ ცვლილებებს კომპანიაზე აქვს შემდეგი გავლენა: აღნიშნულ ცვლილებამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული იყო, რომ საბანკო დაწესებულებები, საკრედიტო კავშირები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტები მოგების გადასახადის ახალი (ესტონური) რეჟიმით დაიბეგრებოდნენ 2023 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებამ განსაზღვრა, რომ დროითი განრიგი აღარ დაწესდება და მომავალში ეს სუბიექტები დაიბეგრებიან ისევ ძველი რეჟიმით, კერძოდ ერთობლივ შემოსავალსა და სსკ-ის მიერ გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობის მიხედვით (97-ე მუხლი, მე-12 ნაწილი).

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიჭვითება.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის პერიოდებისთვის საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ურთიერთგადახურვით.

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას; და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის უნდა მოიცავდეს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანიამ აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით უნდა შეაფასოს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება ცვდება წრფივი მეთოდით საიჯარო ვადის დასრულებამდე ან აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლომდე, თუ, როგორც იშვიათად, მომსახურების ვადა უფრო მცირეა, ვიდრე იჯარის ვადა.

როდესაც კომპანია ხელახლა აფასებს იჯარის რომელიმე პირობას (მაგალითად, როდესაც იგი აფასებს იჯარის გახანგრძლივების ალბათობას ან შეწყვეტის უფლების გამოყენებას), იგი აკორექტირებს საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულებას რათა ზუსტად ასახოს გადასინჯული პირობების შესაბამისი მომავალი გადახდები, რომელიც დადისკონტირებულია გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ჩვეულებრივ გადასინჯება როდესაც მომავალი გადახდების ცვლადი ნაწილი დამოკიდებულია განაკვეთზე ან გადასინჯება ინდექსი, რომლის დროსაც დადისკონტირების განაკვეთი რჩება უცვლელი. ორივე შემთხვევაში აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულებაც ეკვივალენტური თანხით კორექტირდება, რომელიც გაიცვითება დარჩენილი (გადასინჯული) საიჯარო ვადის მანძილზე. თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია უნდა აისახოს, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივის გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღირიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/ გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელებს.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსური ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსური ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

შესყიდული სესხების პორტფელი. შესყიდული სესხების პორტფელი წარმოადგენს შეძენილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს. სესხების პორტფელის შეძენის მომენტში ხელმძღვანელობა ახდენს მსესხებლების სეგმენტაციას სხვადასხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით და განსაზღვრავს პორტფელის ხარისხს, რის შედეგადაც ადგენს თითოეული სესხის პორტფელისთვის შესყიდვის მისაღებ ღირებულებას. პორტფელის შესყიდვის შემდგომ ხელმძღვანელობა დადგენილი პერიოდულობით აანალიზებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მომავალი ფულადი ნაკადების შემოძინების დროულობა, მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობა. ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი სუბიექტურია და სესხების არსებობის მანძილზე შეიძლება გამოიწვიოს შეფასების მნიშვნელოვანი ცვლილებები. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს შესყიდული სესხების პორტფელის ამორტიზებული ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება.

შეძენილი პორტფელის საწყისი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული დანახარჯებით, რომელიც პორტფელის შესყიდვის პირდაპირ დანახარჯებს წარმოადგენს და შემდეგ აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, რომლისთვისაც გამოყენებულია საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რაც განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას და ემატება/აკლდება შემდგომი გაუფასურების ხარჯი/კომპენსირება.

აქტივი თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ამორტიზებული ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება განისაზღვრება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც იანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იანგარიშება თავდაპირველი აღიარებისას და ეხება სესხების საბალანსო ღირებულების პერიოდულ უცვლელ უკუგებას.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ისტორიული მონაცემები კომპანიის ხელმძღვანელობას ეხმარება შეაფასოს მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა მომავალ ფულად ნაკადებზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა პერიოდულად განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ახალი ფაქტორი, რაც მიაწვდის შეფასების ცვლილებას. ეს ფაქტორებია:

- მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზის ცვლილება. შესყიდული სასესხო პორტფელიდან მისაღები ფულადი ნაკადების პროგნოზის მონიტორინგს კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს ყოველ კვარტლურად. ფულადი ნაკადების პროგნოზის ცვლილება აღიარდება, როგორც შეფასების ცვლილება, როდესაც პროგნოზირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფაქტობრივი ფულადი ნაკადებისგან (დეტალები მოცემულია მე-17 შენიშვნაში).
- ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, რომელიც წამოადგენს პორტფელის შესყიდვის დროს გამოყენებულ ნაგულისხმევ საპროცენტო განაკვეთს (IRR) და ინდივიდუალურად განისაზღვრება თითოეულ შესყიდულ პორტფელთან მიმართებაში სესხების ამოღების დანახარჯების გათვალისწინების გარეშე.

სესხების პორტფელის შეძენის მომენტში კომპანია ითვალისწინებს სხვადასხვა მნიშვნელოვან მაჩვენებელს, რომელიც გავლენას ახდენს პორტფელის ხარისხსა და ამოღების მაჩვენებელზე, რის შედეგადაც ადგენს თითოეული სესხის პორტფელისთვის შესყიდვის მისაღებ ღირებულებას.

მომავალი ფულადი ნაკადების შემოღინების დროულობისა და მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობის შეფასება, ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს მნიშვნელოვან მსჯელობებს, რაც მოიცავს ზარალის არსებობას, თანხებსა და გადახდების დროულობას. ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი სუბიექტურია და სესხების არსებობის მანძილზე შეიძლება გამოიწვიოს შეფასების მნიშვნელოვანი ცვლილებები. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს შესყიდული სესხების პორტფელის ამორტიზებული ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება.

იჯარის ვადების განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საწარმო აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. საწარმო ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელ ფაქტორებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება:

ა) არჩევით პერიოდებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობები, საბაზრო განაკვეთებთან შედარებით, როგორიცაა:

- (i) საიჯარო გადახდების ოდენობა ნებისმიერ არჩევით პერიოდში;
- (ii) ცვლადი საიჯარო გადახდების ან სხვა პირობითი გადახდების სიდიდე;
- (iii) ნებისმიერი არჩევანის უფლებების პირობები, რომლებიც გამოყენებას ექვემდებარება თავდაპირველი არჩევითი პერიოდების შემდეგ.

ბ) საიჯარო ქონების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც განხორციელდა (ან მოსალოდნელია, რომ განხორციელდება) ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს მოიჯარეს, როდესაც შესაძლებელი იქნება იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების რეალიზება;

გ) იჯარის ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები, როგორიცაა მოლაპარაკებების წარმოების დანახარჯები, აქტივის გადაადგილების დანახარჯები, სხვა საიჯარო აქტივის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც მოიჯარის საჭიროებების შესაფერისია, მოიჯარის ოპერაციებში ახალი აქტივის ინტეგრირების დანახარჯები, ან იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის განკუთვნილი ჯარიმები და სხვა ანალოგიური დანახარჯები, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია საიჯარო აქტივისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობის, ან საიჯარო აქტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილზე დაბრუნებასთან;

დ) საიჯარო აქტივის მნიშვნელობა მოიჯარის საქმიანობისთვის, მათ შორის, შემდეგი ასპექტების გათვალისწინება: საიჯარო აქტივი სპეციალიზებული აქტივია თუ არა, საიჯარო აქტივის ადგილმდებარეობა და შესაფერისი ალტერნატიული ვარიანტების არსებობა; და

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ე) არჩევანის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული პირობითობა (ე.ი. როდესაც არჩევანის უფლების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ერთი ან რამდენიმე პირობა დაკმაყოფილებულია) და ამ პირობების მატერიალიზების ალბათობა.

დეტალები იჯარის ვადების განსაზღვრასთან დაკავშირებით, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. კომპანიამ გამოიყენა ერთი და იგივე დისკონტირების განაკვეთი მეტ-ნაკლებად ანალოგიური მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებაში;

დეტალები ზღვრული სასესხო განაკვეთის შესახებ, იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადის გაანგარიშებისთვის კომპანია იყენებს ფასიკ 23-ის ინტერპრეტაციას - „მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა“. ინტერპრეტაციის მიხედვით თუ კომპანია დაასკვნის, რომ მოსალოდნელი არ არის, საგადასახადო ორგანო დაეთანხმოს გაურკვეველ საგადასახადო მიდგომას, ის ამ გაურკვევლობის გავლენას ითვალისწინებს შესაბამისი დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრისას.

კომპანია თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომისთვის გაურკვევლობის გავლენას ასახავს ქვემოთ განხილული მეთოდებიდან ერთ-ერთის გამოყენებით, იმისდა მიხედვით, კომპანიის აზრით, რომელი მეთოდის გამოყენებით უფრო უკეთ არის შესაძლებელი გაურკვევლობის გადაჭრის შედეგის პროგნოზირება:

ა) ყველაზე მაღალი ალბათობის მოსალოდნელი ღირებულება - შესაძლო შედეგების დიაპაზონიდან აღებული ერთადერთი, ყველაზე მაღალი ალბათობის მოსალოდნელი სიდიდე. ყველაზე მაღალი ალბათობის მოსალოდნელი ღირებულების მეთოდით იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი უფრო უკეთ გაურკვევლობის გადაჭრის შედეგის პროგნოზირება, თუ შესაძლო შედეგი მხოლოდ ორია, ან შესაძლო შედეგები კონცენტრირებულია ერთი სიდიდის გარშემო;

ბ) მოსალოდნელი ღირებულება - შესაძლო შედეგების დიაპაზონიდან აღებული ალბათობებით შეწონილი სიდიდეების ჯამი. მოსალოდნელი ღირებულების მეთოდით იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი უფრო უკეთ გაურკვევლობის გადაჭრის შედეგის პროგნოზირება, თუ შესაძლო შედეგების დიაპაზონში შესაძლო შედეგების რაოდენობა ორზე მეტია და ერთი სიდიდის გარშემო არ არის კონცენტრირებული.

საგადასახადო კოდექსი არ არეგულირებს სასესხო პორტფელებიდან მიღებული შემოსავლის და გამოქვითვის სპეციფიკას, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, ფასების მიხედვით აღრიცხვა მოგების გადასახადის მიზნებისთვის სხვა მეთოდებთან შედარებით ყველაზე მეტად უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრას. ხელმძღვანელობის შეფასება ფასს-ის მიხედვით მოგების გადასახადის დათვლის მეთოდის ირგვლივ არის კონცენტრირებული, ამიტომ მოგების გადასახადისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნებისთვის კომპანიამ გამოიყენა ფასს-ების მიხედვით აღრიცხვა. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ მე-12 შენიშვნა.

შპს ფინბიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური განყოფილებისგან, მიმოიხილავს დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის, დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2023	31.12.2022
შესყიდული სესხების პორტფელი	57,287,313	53,446,719
გაცემული სესხები	248,358	449,257
სხვა აქტივები	245,957	243,685
საბანკო დეპოზიტები	-	6,360,633
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,344,304	536,258
სულ ფინანსური აქტივები	59,125,932	61,036,552

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
მიღებული სესხები	26,204,653	31,827,765
საიჯარო ვალდებულებები	2,070,052	1,544,900
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	888,893	1,926,416
სულ ფინანსური ვალდებულებები	29,163,598	35,299,081

ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებითი შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავედროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას კაპიტალის ზრდით, დივიდენდების განაწილებით და ა.შ.

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებად კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით და ა.შ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

• საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია ლარში.

შპს ფინბიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის როგორც არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალებადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულებების თანხა მთელი პერიოდის განმავლობაში დაუფარავი იყო.

100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონიერულობის ფარგლებში.

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023		2022	
	პროცენტის ზრდა 100 საბაზისო ერთეულით	პროცენტის შემცირება 100 საბაზისო ერთეულით	პროცენტის ზრდა 100 საბაზისო ერთეულით	პროცენტის შემცირება 100 საბაზისო ერთეულით
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(262,047)	262,047	(211,250)	211,250

• სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,237,061	21,427	85,816	1,344,304
გაცემული სესხები	248,358	-	-	248,358
შესყიდული სესხების პორტფელი	55,553,851	1,733,462	-	57,287,313
	57,039,270	1,754,889	85,816	58,879,975
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	26,204,653	-	-	26,204,653
საიჯარო ვალდებულება	540,486	1,529,566	-	2,070,052
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	888,893	-	-	888,893
	27,634,032	1,529,566	-	29,163,598
ღია საბალანსო პოზიცია	29,405,238	225,323	85,816	

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2022
ფული და ფულის ეკვივალენტები	511,144	24,913	201	536,258
საბანკო დაწესებულებებში	6,360,633	-	-	6,360,633
განთავსებული დეპოზიტები	449,257	-	-	449,257
გაცემული სესხები	51,438,647	2,008,072	-	53,446,719
შესყიდული სესხების პორტფელი	58,759,770	2,032,896	201	60,792,867
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	31,827,765	-	-	31,827,765
საიჯარო ვალდებულება	366,614	1,178,286	-	1,544,900
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,926,416	-	-	1,926,416
	34,120,795	1,178,286	-	35,299,081
ღია საბალანსო პოზიცია	24,638,975	854,610	201	

შპს ფინბიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა წმინდა მოგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მოგება/(ზარალი)	ლარი/ აშშ დოლარი	ლარი/ აშშ დოლარი	ლარი/ ევრო	ლარი/ ევრო
	20%	-20%	20%	-20%
31.12.2023	45,065	(45,065)	17,163	(17,163)
31.12.2022	170,940	(170,940)	40	(40)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი განპირობებულია შესყიდული სესხების პორტფელიდან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მართვა შეძენილ სასესხო პორტფელთან მიმართებაში ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ხელმძღვანელობის მიერ რისკის მართვა თავდაპირველად იწყება პორტფელის შესაძენად გადასახდელი ფასის განსაზღვრის დროს.

შეძენილ სასესხო პორტფელთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი იმართება ხელმძღვანელობის მიერ რათა განისაზღვროს სესხის პორტფელის შესაძენად გადასახდელი თვდაპირველი ფასი. შესყიდული სესხების პორტფელები როგორც წესი არაუზრუნველყოფილი სესხებია, რაც ამცირებს საჭირო ინვესტიციის მოცულობას და მნიშვნელოვნად ამარტივებს პორტფელების მართვას, უზრუნველყოფილი სესხების მართვისგან განსხვავებით. როგორც წესი სასესხო პორტფელის შესყიდვა ხდება სესხის ნომინალურ ღირებულებაზე გაცილებით დაბალ ფასად და ამასთან კომპანიას გადმოეცემა უფლება მისაღებ მთლიან ფულად ნაკადებზე, მათ შორის საპროცენტო სარგებელსა და საკომისიოზე.

შესყიდვის დროს შეძენილი სესხის თითოეული პორტფელი აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელსაც ემატება პირდაპირი შესყიდვის დანახარჯები, შემდგომ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის მიერ შეძენილი ყველა სესხის პორტფელი თავისი ბუნებით გაუფასურებულია შესყიდვის მომენტშივე, რაც ასახულია პორტფელის საწყისი აღიარების დროს მის რეალურ ღირებულებაში. ამორტიზებული ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ისტორიული მონაცემები კომპანიის ხელმძღვანელობას ეხმარება შეაფასოს მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა მომავალ ფულად ნაკადებზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დაიანგარიშება თავდაპირველი აღიარებისას და ასახავს სესხის საბალანსო ღირებულების პერიოდულ ამოღებებს.

ხელმძღვანელობა მუდმივად ამოწმებს ფულად ნაკადებსა და შესყიდული სესხების პორტფელის საბალანსო ღირებულებებს. პორტფელის გაუფასურებაზე შეფასება ხდება ყოველთვის, როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომ შესყიდული სესხების პორტფელი არის გაუფასურებული. გაუფასურება აღიარდება როდესაც პროგნოზირებული ფულადი ნაკადი აჭარბებს რეალურ ფულად ნაკადს. გაუფასურების ხარჯი აისახება შეფასების ცვლილებაში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ ხასიათდება კონცენტრირებული საკრედიტო რისკით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით.

შპს ფინბიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური აქტივები		
შესყიდული სესხების პორტფელი	57,287,313	53,446,719
გაცემული სესხები	248,358	449,257
სხვა აქტივები	245,957	243,685
საბანკო დეპოზიტები	-	6,360,633
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,344,304	536,258
	59,125,932	61,036,552

გაცემული სესხები, საბანკო დეპოზიტები, სხვა აქტივები და ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოადგენენ „არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული“ ფინანსური აქტივების კატეგორიას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ხელმძღვანელი გუნდი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესია.

ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	12,013,372	20,820,068	-	32,833,440
საიჯარო ვალდებულება	963,716	1,344,949	-	2,308,665
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	12,977,088	22,165,017	-	35,142,105
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	888,893	-	-	888,893
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,865,981	22,165,017	-	36,030,998

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	32,449,539	6,521,403	-	38,970,942
საიჯარო ვალდებულება	934,598	691,705	-	1,626,303
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	33,384,137	7,213,108	-	40,597,245
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,926,416	-	-	1,926,416
სულ ფინანსური ვალდებულებები	35,310,553	7,213,108	-	42,523,661

შპს ფინბიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

6. ამონაგები

	2023	2022
შესყიდული სესხების პორტფელის ამორტიზაცია	25,291,221	25,009,080
შეფასების ცვლილება	4,567,949	4,508,433
	29,859,170	29,517,513

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2023 წელს შეადგენს 1,382,595 ლარს, და წარმოადგენს ვადაგადასული საგადასახადო ვალდებულების ჩამოწერიდან მიღებულ შემოსავალს.

2022 წელს სხვა შემოსავალმა შეადგინა 545,012 ლარი. სხვა შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს 2022 წელს (ჯამურად 250,993 ლარი), წარმოადგენს შპს ქრიმ ფინანს ჯორჯიას მიმართ არსებული ვალდებულების ჩამოწერა. შპს "ქრიმ ფინანს ჯორჯიამ" დაარღვია სესხების პორტფელის გაყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რის გამოც კომპანიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ჩამოწერა შპს "ქრიმ ფინანს ჯორჯიას" მიმართ არსებული ვალდებულება.

8. სესხის პორტფელის მართვასთან დაკავშირებული ხარჯები

	2023	2022
სესხის ამოღებასთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯი	(9,595,317)	(9,426,718)
სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე	(993,090)	(3,867,706)
	(10,588,407)	(13,294,424)

9. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება 2023 წელს მოიცავს სახელფასო ხარჯებსა და თანამშრომელთა სხვა სარგებელს 3,400,859 ლარის ოდენობით (2022: 3,009,797 ლარი).

10. სხვა ხარჯები

	2023	2022
კომუნიკაციის ხარჯი	(708,008)	(783,342)
საოფისე ხარჯი	(353,892)	(398,250)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი	(273,592)	(330,431)
კომუნალური ხარჯი	(270,052)	(312,164)
რეკლამის ხარჯი	(180,010)	(331,072)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(166,687)	(213,405)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(118,600)	(31,336)
საწვავის ხარჯები	(91,350)	(127,423)
მივლინების ხარჯი	(51,955)	(35,808)
დაცვის ხარჯი	(47,809)	(44,525)
დაზღვევის ხარჯი	(8,665)	(9,274)
რემონტისა და შეკეთების ხარჯი	(5,965)	(3,400)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(3,618)	(65,930)
სხვა ხარჯი	(186,626)	(231,881)
	(2,466,829)	(2,918,241)

შპს ფინზიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

11. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

საპროცენტო შემოსავალი	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	385,332	747,146
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	33,670	72,473
	419,002	819,619

საპროცენტო ხარჯი

	2023	2022
მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯი	(4,187,138)	(3,299,587)
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	(126,503)	(170,995)
	(4,313,641)	(3,470,582)

12. მოგების გადასახადის ხარჯი

	2023	2022
მიმდინარე მოგების გადასახადი	(1,637,643)	(829,820)
დროებითი სხვაობების წარმოქმნასთან და ჩამოწერასთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის ხარჯი	69,416	(66,945)
გადასახადის განაკვეთის გაზრდით წარმოქმნილი გადავადებული გადასახადის ხარჯი (+5%)*	-	(4,448)
	(1,568,227)	(901,213)

მოგება დაბეგვრამდე

	2023	2022
მოგების გადასახადის განაკვეთი	20%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი	(1,949,561)	(1,038,230)
გადასახადის განაკვეთის ზრდის გავლენა მუდმივ სხვაობებზე (+5%)*	-	(3,771)
მუდმივი სხვაობების ეფექტი**	381,334	140,788
	(1,568,227)	(901,213)

(*) 2022 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსში (სსკ) ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნულ ცვლილებებს კომპანიაზე აქვს შემდეგი გავლენა: აღნიშნულ ცვლილებამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული იყო, რომ საბანკო დაწესებულებები, საკრედიტო კავშირები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტები მოგების გადასახადის ახალი (ესტონური) რეჟიმით დაიბეგრებოდნენ 2023 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებამ განსაზღვრა, რომ დროითი განრიგი აღარ დაწესდება და მომავალში ეს სუბიექტები დაიბეგრებიან ისევ ძველი რეჟიმით, კერძოდ ერთობლივ შემოსავალსა და სსკ-ის მიერ გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობის მიხედვით (97-ე მუხლი, მე-12 ნაწილი).

ასევე, სსკ-ის 98-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს მოგების გადასახადის განაკვეთს, დაემატა ახალი მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც, საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის დასაბეგრადი მოგება დაიბეგრება 20 პროცენტით.

(**) მუდმივი სხვაობების ეფექტი არსებითად გამოწვეულია დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლის ეფექტით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული საპროცენტო შემოსავლები არ იბეგრება.

შპს ფინზიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

12. მოგების გადასახადის ხარჯი (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება და მისი მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დროებითი სხვაობების ეფექტი	31.12.2021	აღრიცხული მოგება/ზარალში	31.12.2022	აღრიცხული მოგება/ზარალში	31.12.2023
ძირითადი საშუალებები	(142,767)	(12,065)	(154,832)	44,660	(110,172)
არამატერიალური აქტივები	(2,716)	(7,347)	(10,063)	6,582	(3,481)
აქტივების გამოყენების უფლება	24,580	(16,095)	8,485	4,544	13,029
გადასახდელი ხელფასები	174,505	(35,886)	138,619	13,630	152,249
საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	53,602	(71,393)	(17,791)	69,416	51,625
წმინდა საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	53,602	(71,393)	(17,791)	69,416	51,625

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიქვითება.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის პერიოდისთვის საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ეროვნული ვალუტა ბანკში	1,237,061	511,144
უცხოური ვალუტა ბანკში	107,243	25,114
	1,344,304	536,258

ეროვნული ვალუტა ბანკში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს მოთხოვნამდე დეპოზიტებს სს თიბისი ბანკში და სს საქართველოს ბანკში, ღირებულებით - 835,819 ლარი და 342,354 ლარი. დეპოზიტების წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთად განსაზღვრულია 6% და 5%, შესაბამისად.

ეროვნული ვალუტა ბანკში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს მოთხოვნამდე დეპოზიტებს სს “ლიბერთი ბანკში”, ღირებულებით - 348,513 ლარი. დეპოზიტების წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთად განსაზღვრულია 7.5%.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

შპს ფინზიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

14. საბანკო დეპოზიტები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები მოიცავს 6,360,633 ლარის ოდენობით ფულს საბანკო ანგარიშზე და საპროცენტო მოთხოვნას (31.12.2023: 0 ლარი). ამ თანხით უზრუნველყოფილია ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული სასესხო ვალდებულებები (შენიშვნა 21). კომპანიას ეკრძალება: გაიტანოს ანგარიშზე არსებული თანხა - 6,000,717 ლარი, სასესხო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, გაასხვისოს მოთხოვნა ან გირავნობის საგანი მოგირავნის წინასწარი თანხმობის გარეშე.

საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი 2023 წლის პერიოდისთვის შეადგენს 385,332 ლარს (2022: 747,146 ლარი).

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

15. გაცემული სესხები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს გაცემული სესხები შპს ფინანსურ სერვისზე, რომელთა საბალანსო ღირებულებაა 248,358 ლარი (31.12.2022: 449,257 ლარი). გაცემულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია 13.38%-დან 13.75%-მდე (2022: 12.49%-13.75%). გაცემული სესხების დაფარვის ვადაა 2025 წლის 1 მარტიდან 2025 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდი.

გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი 2023 წლის პერიოდისთვის შეადგენს 33,670 ლარს (2022: 72,473 ლარი).

გაცემული სესხების გრძელვადიანი და მოკლევადიანი წილები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი წილი	61,199	278,900
გრძელვადიანი წილი	187,159	170,357
	248,358	449,257

16. სხვა აქტივები

2023 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენს 405,353 ლარს (31.12.2022: 371,334 ლარი). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა აქტივების არსებითი ნაწილი წარმოადგენს შპს „თიბისი ფისა“ და შპს „ოპპას“ მიმართ არსებულ მოთხოვნებს, ღირებულებით 213,287 ლარი (2022: 243,685 ლარი). აღნიშნული მოთხოვნები დაკავშირებულია კომპანიისთვის ვებ გვერდის, მობილური აპლიკაციისა და თვითმომსახურების ტერმინალების მეშვეობით სწრაფი გადახდის მომსახურებასთან.

შპს ფინზიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

17. შესყიდული სესხების პორტფელი

	2023	2022
გრძელვადიანი	42,928,547	40,620,703
მოკლევადიანი	14,358,766	12,826,016
	57,287,313	53,446,719
1 იანვარი	53,446,719	31,905,012
შესყიდული სესხების პორტფელი	9,164,594	25,087,779
მომწოდებლისთვის დაბრუნებული სესხების პორტფელი	(158,601)	-
შესყიდული სესხების პორტფელის ამორტიზაცია	25,291,221	25,009,080
მიღებული ფულადი ნაკადები	(35,010,195)	(32,577,232)
შეფასების ცვლილება	4,567,949	4,508,433
ავანსებთან გაქვითვა	(6,254)	(192,351)
გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგები	(8,120)	(294,002)
31 დეკემბერი	57,287,313	53,446,719

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შესყიდული სესხების პორტფელში დაგირავებულია შემდეგი მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად:

- ფინანსური ინსტიტუტი N1 – უზრუნველყოფილია შესყიდული სესხების პორტფელში, რომლის საბალანსო ღირებულებაა 34,324,145 ლარი;
- ფინანსური ინსტიტუტი N2 – უზრუნველყოფილია შესყიდული სესხების პორტფელში, რომლის საბალანსო ღირებულებაა 3,014,085 ლარი;
- ფინანსური ინსტიტუტი N3 – უზრუნველყოფილია შესყიდული სესხების პორტფელში, რომლის საბალანსო ღირებულებაა 3,626,032 ლარი;
- ფინანსური ინსტიტუტი N4 – უზრუნველყოფილია შესყიდული სესხების პორტფელში, რომლის საბალანსო ღირებულებაა 2,496,443 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შესყიდული სესხების პორტფელში დაგირავებულია შემდეგი მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად:

- ფინანსური ინსტიტუტი N1 – უზრუნველყოფილია შესყიდული სესხების პორტფელში, რომლის საბალანსო ღირებულებაა 29,012,459 ლარი;
- ფინანსური ინსტიტუტი N2 – უზრუნველყოფილია შესყიდული სესხების პორტფელში, რომლის საბალანსო ღირებულებაა 3,893,727 ლარი;
- ფინანსური ინსტიტუტი N3 – უზრუნველყოფილია შესყიდული სესხების პორტფელში, რომლის საბალანსო ღირებულებაა 8,394,243 ლარი;
- ფინანსური ინსტიტუტი N4 – უზრუნველყოფილია შესყიდული სესხების პორტფელში, რომლის საბალანსო ღირებულებაა 3,023,897 ლარი.

შესყიდული სესხების პორტფელი წარმოადგენს შეძენილ გაუფასურებელ ფინანსურ აქტივებს, რომლებიც წლის ბოლოს აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წამოადგენს პორტფელის შესყიდვის დროს გამოყენებულ ნაგულისხმევ საპროცენტო განაკვეთს (IRR) და ინდივიდუალურად განისაზღვრება თითოეულ შესყიდულ პორტფელთან მიმართებაში მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზირებით სესხების მართვის დანახარჯების გათვალისწინების გარეშე. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ შეაფასა მომავალი ეკონომიკური ფაქტორების შესაძლო გავლენა, რაც თავის მხრივ მოქმედებს მოსალოდნელ ფულადი ნაკადებზე. შესყიდული სესხების პორტფელის ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

შპს ფინბიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

18. იჯარა

კომპანიას იჯარით აღებული აქვს ფართი ადმინისტრაციული ოფისისთვის და მომსახურების ოფისებისთვის. საიჯარო გადასახდელები შედგება ფიქსირებული ნაწილისაგან და წარმოდგენილია ლარში და უცხოურ ვალუტაში - დოლარში. საიჯარო ხელშეკრულებების ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 8%-14%-ს.

აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქტივის გამოყენების უფლება

1 იანვარი

შემოსვლა

ცვეთა

შეფასების ცვლილება

გასვლა

31 დეკემბერი

2023

2022

1,502,475

2,045,883

210,431

591,671

(887,237)

(876,542)

1,199,694

(4,702)

(20,457)

(253,835)

2,004,906

1,502,475

საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საიჯარო ვალდებულება

1 იანვარი

შემოსვლა

საპროცენტო ხარჯი

საიჯარო გადახდები

დღგ-ის თანხა

სხვაობები უცხოური გაცვლითი კურსიდან

შეფასების ცვლილება

გაცემულ სესხებთან გაქვითვა

გასვლა

31 დეკემბერი

2023

2022

1,544,900

2,209,747

210,431

591,671

126,503

170,995

(903,898)

(877,811)

114,266

169,559

(27,848)

(215,935)

1,199,694

(4,702)

(174,853)

(237,036)

(19,143)

(261,588)

2,070,052

1,544,900

საიჯარო ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

შპს ფინზიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

19. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ტექნიკური აღჭურვილობა	ავთო	მსუბუქი ავტომობილები	სხვა	სულ
31.12.2021	1,068,851	74,059	380,548	19,278	1,542,736
შემოსვლა	159,993	33,215	-	6,110	199,318
გასვლა	(101,361)	(9,820)	(71,904)	(1,580)	(184,665)
31.12.2022	1,127,483	97,454	308,644	23,808	1,557,389
შემოსვლა	30,174	-	-	426	30,600
31.12.2023	1,157,657	97,454	308,644	24,234	1,587,989
დაგროვილი ცვეთა					
31.12.2021	(384,348)	(37,072)	(155,600)	(13,936)	(590,956)
ცვეთა	(213,986)	(22,096)	(44,453)	(4,596)	(285,131)
გასვლა	69,846	4,564	18,169	1,579	94,158
31.12.2022	(528,488)	(54,604)	(181,884)	(16,953)	(781,929)
ცვეთა	(194,657)	(19,360)	(37,332)	(3,852)	(255,201)
31.12.2023	(723,145)	(73,964)	(219,216)	(20,805)	(1,037,130)
საბალანსო ღირებულება					
31.12.2022	598,995	42,850	126,760	6,855	775,460
31.12.2023	434,512	23,490	89,428	3,429	550,859

20. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ურთიერთგადახურვით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულებები ჯამურად 3,779,019 ლარის ოდენობით (2022 წლის 31 დეკემბერი: 3,226,905 ლარი) ძირითადად შედგება გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებებისგან.

შპს ფინზიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

21. მიღებული სესხები

			31.12.2023	
გამსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
ფინანსური ინსტიტუტი N1	ლარი	მონეტარული პოლიტიკის წლიურ განაკვეთს + 3%		
		მონეტარული პოლიტიკის წლიურ განაკვეთს + 3.5%	5,235,913	11,011,674
ფინანსური ინსტიტუტი N2	ლარი	მონეტარული პოლიტიკის წლიურ განაკვეთს + 4.5%		
		მონეტარული პოლიტიკის წლიურ განაკვეთს + 5%, არა უმცირეს 14%	1,968,295	-
ფინანსური ინსტიტუტი N3	ლარი	მონეტარული პოლიტიკის წლიურ განაკვეთს + 4.5%, არა უმცირეს 15.5%	1,235,155	4,968,473
ფინანსური ინსტიტუტი N4	ლარი	მონეტარული პოლიტიკის წლიურ განაკვეთს + 5%.	669,624	1,115,519
		მონეტარული პოლიტიკის წლიურ განაკვეთს + 5.5%, არა უმცირეს 10.5%		
			9,108,987	17,095,666

31.12.2022				
გამსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
ფინანსური ინსტიტუტი N1	ლარი	მონეტარული პოლიტიკის წლიურ განაკვეთს + 2.5%		
		მონეტარული პოლიტიკის წლიურ განაკვეთს + 3%	10,078,418	-
ფინანსური ინსტიტუტი N2	ლარი	მონეტარული პოლიტიკის წლიურ განაკვეთს + 3.5%		
		მონეტარული პოლიტიკის წლიურ განაკვეთს + 5%	2,043,393	1,973,488
ფინანსური ინსტიტუტი N3	ლარი	მონეტარული პოლიტიკის წლიურ განაკვეთს + 5%, არა უმცირეს 14%		
		მონეტარული პოლიტიკის წლიურ განაკვეთს + 4.5%, არა უმცირეს 15.5%	7,029,725	-
ფინანსური ინსტიტუტი N5	ლარი	13.9% (6/29/2022 - 6/27/2023);		
		მონეტარული პოლიტიკის წლიურ განაკვეთს + 2.9%, არა უმცირეს 13.9% (6/27/2023-დან)	6,502,007	4,200,734
			25,653,543	6,174,222

მიღებული სესხების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია შემდეგი აქტივებით:

ა) **ფინანსური ინსტიტუტი #1** - ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საბანკო ანგარიშების ბლოკირება მაქსიმალური ღირებულებით 5,800,000 აშშ დოლარი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ბლოკირებული თანხები.

აღნიშნული სესხების უზრუნველსაყოფად ასევე გამოყენებულია პირადი თავდებობა 10,000,000 აშშ დოლარის ოდენობითა და შეძენილი სესხების პორტფელები, რომელთა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 34,324,145 ლარი

ბ) **ფინანსური ინსტიტუტი #2** - ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია შეძენილი სესხების პორტფელები, რომელთა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 3,014,085 ლარი;

შპს ფინბიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

21. მიღებული სესხები (გაგრძელება)

გ) ფინანსური ინსტიტუტი #3 - ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია შეძენილი სესხების პორტფელები, რომელთა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 3,626,032 ლარი;

დ) ფინანსური ინსტიტუტი #4 - ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია შეძენილი სესხების პორტფელები, რომელთა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 2,496,443 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია შემდეგი აქტივებით:

ა) ფინანსური ინსტიტუტი #1 - ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საბანკო ანგარიშების ბლოკირება მაქსიმალური ღირებულებით 5,800,000 აშშ დოლარი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ბლოკირებული თანხები.

აღნიშნული სესხების უზრუნველსაყოფად ასევე გამოყენებულია პირადი თავდებობა 10,000,000 აშშ დოლარის ოდენობითა და შეძენილი სესხების პორტფელები, რომელთა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 29,012,459 ლარი;

ბ) ფინანსური ინსტიტუტი #2 - ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია შეძენილი სესხების პორტფელები, რომელთა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 3,893,727 ლარი;

ც) ფინანსური ინსტიტუტი #3 - ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია შეძენილი სესხების პორტფელები, რომელთა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 8,394,243 ლარი;

დ) ფინანსური ინსტიტუტი #5 - ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები ოდენობით 6,000,717 ლარი. კომპანიას ეკრძალება: გაიტანოს ანგარიშზე არსებული თანხა სასესხო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, გაასხვისოს მოთხოვნა ან გირავნობის საგანი მოგირავნის წინაწარი თანხმობის გარეშე.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური გარანტიების კონტრაქტებით, რომელიც უკავშირდება ზემოთ ჩამოთვლილი ფიზიკური პირების მიერ კომპანიის სესხების უზრუნველყოფებს, არ მომხდარა ნაშთების კორექტირება, არაარსებითობიდან გამომდინარე.

მიღებულ სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2023	2022
1 იანვარი	31,827,765	19,022,570
ფულადი ნაკადები:		
სესხის გადახდა	(17,700,962)	(21,247,071)
სესხის აღება	12,075,501	34,078,246
პროცენტის გადახდა	(4,184,789)	(3,325,567)
არაფულადი ნაკადები:		
პროცენტის დარიცხვა	4,187,138	3,299,587
31 დეკემბერი	26,204,653	31,827,765

შპს ფინბიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

22. საფაქრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
სახელფასო ვალდებულება	761,247	693,097
სხვა	127,646	102,283
სესხის პორტფელის შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	-	1,131,036
	888,893	1,926,416

ფინანსური ვალდებულებების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

23. საწესდებო კაპიტალი

2023 და 2022 წელს არ განხორციელებულა საწესდებო კაპიტალზე ბრუნვები. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 195,044 ლარს.

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
გაცემული სესხები		
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	248,358	449,257
საიჯარო ვალდებულება		
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	1,438,310	1,168,358

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ფინანსური შემოსავალი		
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	33,670	72,473
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი		
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	(717,307)	(1,093,385)
ფინანსური ხარჯები		
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	(77,115)	(124,297)
სხვა ხარჯები		
მფლობელები	(11,996)	(13,779)

25. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები - 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

მმართველობის ანგარიშგება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) კომპანიას აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის, კომპანიას არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

მიღებულ სესხებთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები - 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბანკო ანგარიშზე არსებული ფული 6,000,717 ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 0 ლარი) დაგირავებულია ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად. კომპანიას ეკრძალება გაიტანოს ანგარიშზე არსებული თანხა სასესხო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, გაასხვისოს მოთხოვნა ან გირავნობის საგანი მოგირავნის წინასწარი თანხმობის გარეშე.

მიღებული სესხების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები - 21-ე შენიშვნაში აღწერილი თავდებობის შედეგად წარმოქმნილი შესაძლო ვალდებულებები არ არის აღრიცხული, რადგან მათი შეფასება საიმედოდ შეუძლებელია, თუმცა ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათი რეალური ღირებულება არ არის მატერიალური.

თანამსესხებელი - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს 4 თანამსესხებლობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებების მიხედვით კომპანიას მსესხებლებთან ერთად აქვს ამ სესხების დაფარვის სოლიდარული პასუხისმგებლობა. ყველა მსესხებელი არის შპს ფინბიუროს დაკავშირებული მხარე. ამ სესხებიდან 5,500,280 ლარის ოდენობის სესხი გაცემულია კომპანიის მფლობელზე ხოლო სესხები 2,000,000 ლარის, 459,465 ლარის და 197,297 აშშ დოლარის ოდენობით გაცემულია საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიაზე.

აღნიშნული სესხების დაფარვის ვადად განსაზღვრულია 2027 წელი. ეს სესხები არის სრულად უზრუნველყოფილი მსესხებლების კუთვნილი უძრავი ქონებითა და პირადი გარანტიით (დაკავშირებული მხარეები), ასევე შპს ფინბიუროს სასესხო პორტფელით რომლის საბალანსო ღირებულებაც 3,014,085 ლარი. კომპანიას რაიმე სახის ანარიცხი არ აქვს აღიარებული 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ სესხების დაფარვასთან დაკავშირებით აღებული პასუხისმგებლობის გამო, რადგან თვლის, რომ კომპანიას არ წარმოექმნება ამასთან დაკავშირებით რაიმე მატერიალური დანაკარგი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს 3 თანამსესხებლობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებების მიხედვით კომპანიას მსესხებლებთან ერთად აქვს ამ სესხების დაფარვის სოლიდარული პასუხისმგებლობა. ყველა მსესხებელი არის შპს ფინბიუროს დაკავშირებული მხარე. ამ სესხებიდან 7,153,134 ლარის ოდენობის სესხი გაცემულია კომპანიის მფლობელზე, ხოლო სესხები 562,192 ლარისა და 252,460 აშშ დოლარის ოდენობით გაცემულია საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიაზე. აღნიშნული სესხების დაფარვის ვადად განსაზღვრულია 2027 წელი. ეს სესხები არის სრულად უზრუნველყოფილი მსესხებლების კუთვნილი უძრავი ქონებითა და პირადი გარანტიით (დაკავშირებული მხარეები). 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივებით არ არის უზრუნველყოფილი აღნიშნული სესხები.

შპს ფინზიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

25. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

კომპანიას რაიმე სახის ანარიცხი არ აქვს აღიარებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ სესხების დაფარვასთან დაკავშირებით აღებული პასუხისმგებლობის გამო, რადგან თვლის, რომ კომპანიას არ წარმოეჭმნება ამასთან დაკავშირებით რაიმე მატერიალური დანაკარგი.

კოვენანტები - 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვალდებულია დააკმაყოფილოს მიღებული სესხების ხელშეკრულებებით განსაზღვრული შემდეგი ფინანსური და არა-ფინანსური კოვენანტები:

კოვენანტის აღწერა	სტატუსი 31.12.2023-ის მდგომარეობით	სტატუსი 31.12.2022-ის მდგომარეობით
მომგებიანობა		
მოგება საპროცენტო ხარჯების, გადასახადების გადახდის, ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯების გარეშე (EBITDA)	დაკმაყოფილებულია	დაკმაყოფილებულია
გადახდისუნარიანობა/დაფარვა		
სესხით მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი (DSCR)	არ არის დაკმაყოფილებული	დაკმაყოფილებულია
სესხით მომსახურებისთვის ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები [DSCR (CFADS)]	დაკმაყოფილებულია	დაკმაყოფილებულია
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR)	დაკმაყოფილებულია	არ არის რელევანტური

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს რამდენიმე ფინანსურ კოვენანტს. ამასთან დაკავშირებით, საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე კომპანიამ მოიპოვა პატიების წერილი ფინანსური ინსტიტუტებისგან, რომლის მიხედვითაც ფინანსური ინსტიტუტები უარს ამბობენ კოვენანტების დარღვევის მიუხედავად სასესხო ვალდებულებების დაუყოვნებლივ დაფარვის მოთხოვნაზე. მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე კოვენანტების დარღვევას არ გამოუწვევია სესხების დაფარვის მოთხოვნა. მიუხედავად ამისა, მსესხებლებს უფლება აქვთ მოითხოვონ გრძელვადიანი სესხების (11,011,674 ლარი) დაფარვა აღნიშნული დარღვევების გამო. შედეგად, კომპანიამ არ მოუხდენია ზემოაღნიშნული სესხების კლასიფიკაცია მოკლევადიან სესხებად ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაში.

2022 წელს კომპანიას დარღვეული ჰქონდა დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებული კოვენანტები. აღნიშნულის საპასუხოდ კომპანიამ N1 და N3 ფინანსური ინსტიტუტებისგან მიიღო პატიების წერილი, რომლის მიხედვითაც დივიდენდების გაცემა არ ჩაითვლებოდა კოვენანტების დარღვევად. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს სასესხო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებსაც. ამასთან დაკავშირებით, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ მოიპოვა პატიების წერილი N2 და N4 ფინანსური ინსტიტუტებისგან, რომლის მიხედვითაც ფინანსური ინსტიტუტები უარს ამბობენ კოვენანტების დარღვევის მიუხედავად სასესხო ვალდებულებების დაუყოვნებლივ დაფარვის მოთხოვნაზე. უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის 31 დეკემბრამდე კოვენანტების დარღვევას არ გამოუწვევია სესხების დაფარვის მოთხოვნა.

რადგანაც, მსესხებლებს აქვთ ზემოთ აღნიშნული კოვენანტების დარღვევასთან დაკავშირებით გრძელვადიანი სესხების (12,594,340 ლარი) დაუყოვნებლივ დაფარვის მოთხოვნის უფლება, ამიტომ, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები წარადგინა როგორც მოკლევადიანი (შენიშვნა 21).

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მიღებული და დაფარული სესხები

2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე კომპანიამ აიღო 821,380 ლარის ღირებულების სესხი. აღნიშნული სესხის მიზანია სასესხო პორტფელის შესყიდვა. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთად განისაზღვრა მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთს +4.5% და + 5% (სესხების მიღება მოხდა 2 ფინანსური ინსტიტუტისგან) და ვადად 3 წელი და 5 წელი. ასევე 2023 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე კომპანიამ დაფარა სასესხო ვალდებულება 2,248,290 ლარის ღირებულებით.

დივიდენდების გაცემა

2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე კომპანიის დამფუძნებლებზე განაწილდა დივიდენდები ჯამურად 1,603,547 ლარის ოდენობით.

შპს ფინზიურო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

შესყიდული სესხების პორტფელი

2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე შესყიდული სასესხო პორტფელის ძირმა შეადგინა 13,036,492 ლარი, პორტფელის შესყიდვის ფასმა კი შეადგინა 888,783 ლარი.

შპს ფინბიურო

მმართველობის ანგარიშგება

2023

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე.....	3
1. საქმიანობის ხასიათი და ისტორია	4
2. ხედვა და მისია	4
3. კომპანიის მთავარი ღირებულებები	4
4. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ	5
5. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	5
6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	5
7. სამომავლო გეგმები	5
8. კორპორაციული მართვის სისტემა	6
ინფორმაცია კომპანიის მესაკუთრეების შესახებ	6
შპს „ფინზუროს“ დირექტორატი	6
9. ძირითადი რისკები და მათი მართვა	6
საბაზრო რისკი	7
საპროცენტო რისკი	7
უცხოური ვალუტის რისკი	7
საკრედიტო რისკი	7
ლიკვიდურობის რისკი	8
10. ძირითადი ფინანსური ინფორმაცია	9
11. კომპანიის პასუხისმგებელი პირების განცხადება	10



ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0108 თბილისი,
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

შპს „ფინბიუროს“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 19 აპრილს. სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მივიღეთ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე


ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.


დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

31 მაისი 2024

1. საქმიანობის ხასიათი და ისტორია

შპს ფინზიურო („კომპანია“) დაფუძნდა 2015 წლის მაისში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტებისგან გაუფასურებული სესხების შესყიდვა და მართვა.

2019 წლის მაისში კომპანიას მიენიჭა სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსი და მოექცა საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების ქვეშ. მაგრამ კომპანიის მთავარი საქმიანობა არის გაუფასურებული სასესხო პორტფელების შესყიდვა და მართვა, მომხმარებლებზე მორგებული გადახდის გრაფიკების შედგენით, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება მომხმარებელთა ფინანსურ შესაძლებლობებს და საჭიროებებს. კომპანია მომხმარებლებზე მორგებული გადახდების გრაფიკის შეთავაზებით, ეხმარება მათ რომ აღიდგინონ გადახდისუნარიანობა და დაბრუნდნენ ეკონომიკაში გაჯანსაღებული საკრედიტო რეიტინგითა და ფინანსური მდგომარეობით.

ჩვენ ვცდილობთ ვიყოთ ჩვენი სფეროს ექსპერტები. ვიზიარებთ ევროპულ გამოცდილებას და მუდმივად ვვითარდებით.

საქმიანობის პერიოდში კომპანიამ გრძელვადიანი ურთიერთობები დაამყარა საქართველოში მოქმედ ფინანსურ ინსტიტუტებთან. შვიდწლიანი ისტორიის მანძილზე კომპანიამ შეისყიდა 15-ზე მეტი ორგანიზაციის სასესხო პორტფელი, მათ შორის არის როგორც კომერციული ბანკები, ისე მიკროსაფინანსო ინსტიტუტები და ონლაინ გამსესხებლები.

კომპანია მომხმარებლებს ემსახურება ეთიკის კოდექსის სრული დაცვით.

2. ხედვა და მისია

ხედვა: ერთადერთი ადგილი მომავლის ასაშენებლად აწმყოა, ერთადერთი გზა წარსული ფინანსური ვალდებულებებისგან გასათავისუფლებლად სინამდვილისთვის თვალის გასწორება და მიზნების სწორად დასახვა.

მისია: დაეხმაროს მომხმარებლებს და შესთავაზოს ფინანსური ვალდებულებების მართვის საუკეთესო, მათ საჭიროებებზე მორგებული გზები.

3. კომპანიის მთავარი ღირებულებები

- **გუნდურობა** - ყველა დიდი წარმატების უკან ძლიერი გუნდი დგას. ჩვენი მიზანია თითოეულ თანამშრომელამდე მივიტანოთ განცდა, რომ რა პოზიციაზეც არ უნდა იყვნენ, ისინი ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წევრები არიან.
- **მომხმარებელზე ორიენტირებულობა** - ვიყოთ ჩვენს მომხმარებელზე ორიენტირებული ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რასაც ვაღწევთ მომხმარებელთა სასესხო ვალდებულებების სწორი მართვით, რაც მათი ფინანსური გაჯანსაღების წინაპირობაა.

- **პროგრესი** - ცოდნის დაგროვება და თვითგანვითარება არის პროგრესის საყრდენი. ჩვენ მუდამ ვეძებთ გაუმჯობესების სივრცეებსა და სიახლეების დანერგვის შესაძლებლობებს, რადგან გვჯერა, რომ სწორედ ეს არის ბიზნესის კეთების მთავარი არსი: შექმნა ახალი ან სხვა სფეროში დაგროვილი ცოდნა განავითარო და მოარგო შენს რეალობას და ამით მიაღწიო წარმატებას.

4. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს მაშტაბით კომპანია აერთიანებს 1 სათავო ოფისს და 19 ფილიალს, დასაქმებული ყავს 695 თანამშრომელი.

ფილიალების ქსელი ფარავს სრულიად საქართველოს და ის განლაგებულია ყველა ძირითად რეგიონში: თბილისი (2 ფილიალი), კახეთი (2 ფილიალი), სამცხე-ჯავახეთი (1 ფილიალი), შიდა ქართლი (2 ფილიალი), იმერეთი (4 ფილიალი), სამეგრელო-ზემო სვანეთი (3 ფილიალი), აჭარა (2 ფილიალი), გურია (1 ფილიალი) და ქვემო ქართლი (2 ფილიალი).

ფილიალების ძირითადი საქმიანობა არის კლიენტების სასესხო ვალდებულებების დამუშავება, მათთან კომუნიკაცია, მათზე მორგებული გრაფიკების შეთავაზება და შეთანხმება, ამასთან მომხმარებლებთან მუდმივი კონტაქტი.

5. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის ჩატარებული კვლევა-ძიების სამუშაოები.

6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შესაბამისად არ არსებობს ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ.

7. სამომავლო გეგმები

კომპანიის სამომავლო გეგმები დაფუძნებულია მდგრად განვითარებაზე, რაც მოიცავს ეფექტურობის გაუმჯობესებით მიღწეულ ზრდას, როგორც სასესხო პორტფელის მოცულობის, ისე მომსახურე ფილიალების ქსელის განვითარების კუთხით. ამ სტრატეგიის ფარგლებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიის გაციფრულების კონცეპტუალურ გეგმას, როგორც შიდა საოპერაციო კუთხით, ისე მომხმარებლისთვის სერვისების მიწოდებისა და გადახდის სისტემის არხების განვითარების კუთხით.

ჩვენი მიზანია შევქმნათ დასავლურ პრინციპებზე - ჰუმანურობაზე, კეთილსინდისიერებასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემო. ჩვენ უნდა ვიყოთ ადამიანების თანამგზავრები ფინანსების სწორი მართვის, თავდაჯერებულობისა და ეკონომიკური გაჯანსაღების გზაზე.


8. კორპორაციული მართვის სისტემა

კომპანიის ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს პარტნიორთა საერთო კრება. კომპანიის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული მენეჯმენტის გუნდი.

კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება.

ინფორმაცია კომპანიის მესაკუთრეების შესახებ

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილობრივი ფლობის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:



შპს „ფინბუროს“ დირექტორატი

შპს „ფინბუროს“ დირექტორატი შედგება დირექტორის, ფინანსური დირექტორისა და მთავარი იურისტისგან.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორია დავით აღსაბაძე, ფინანსური დირექტორი - ლიკა გოგაძე, ხოლო კომპანიის მთავარი იურისტი - ანი მიქიაშვილი.

9. ძირითადი რისკები და მათი მართვა

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვისა და რისკის პოლიტიკების განსაზღვრისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის, დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის დასახულ შედეგებს. ამასთანავე, რისკის მართვის პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავება კომპანიის შესაბამისი ერთეულებზე. კომპანიის ფინანსურ რისკებს მართავს ფინანსური განყოფილება ფინანსური დირექტორის ზედამხედველობით. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის შესაბამისი განყოფილებისგან შედეგებისა და რისკების შესახებ, მიმოიხილავს დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის

განხორციელებული პროცესების ეფექტურობას და არსებული რისკების მიტიგაციის საშუალებებს, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მოსალოდნელი უაროფიტი შედეგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კომპანია საქმიანობის ფარგლებში სხვადასხვა რისკის წინაშე დგას. რისკების მართვა არის ფუნდამენტური მნიშვნელობის.

კომპანიის ფინანსური რისკის მართვის ფუნქცია მოქცეულია აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის (ALCO) ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც შემუშავებულია 2022 წლიდან.

აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი ახორციელებს საბაზრო რისკის, ლიკვიდობის რისკის, საპროცენტო რისკის მართვასა და ზედამხედველობას. აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი აწესებს და ზედამხედველობას უწევს შიდა და გარე ლიკვიდობის მაჩვენებლებს, გეგმავს საპროგნოზო ფულად ნაკადებს, აწესებს ლიმიტებს საპროცენტო რისკების, სავალუტო რისკების, ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის რისკების მართვისათვის. აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტის შეხვედრები იმართება ყოველკვირეულად ან საჭიროების შემთხვევაში.

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (**საპროცენტო რისკი**) და ვალუტის კურსის (**სავალუტო რისკი**) ცვლილებების შედეგად.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას აქვს ლარში დენომინირებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

უცხოური ვალუტის რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები, მაგრამ მთლიანობაში ჯამური ღია სავალუტო პოზიცია არ არის მატერიალური და კომპანიის ფინანსური შედეგებისთვის დამლევადია. კომპანია მუდმივად აკეთებს სენსიტიურობის ანალიზს და შედეგებიდან გამომდინარე ხდება გადაწყვეტილებების მიღება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი განპირობებულია შესყიდული სესხების პორტფელიდან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და გაუფასურებული ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მართვა შეძენილ სასესხო პორტფელთან მიმართებაში ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ხელმძღვანელობის მიერ რისკის მართვა თავდაპირველად იწყება პორტფელის შესაძენად გადასახდელი ფასის განსაზღვრის დროს.

თითოეული პორტფელის ხარისხისთვის და შესაბამისად, ფასის განსაზღვრისთვის, კომპანია ახდენს მსესხებულების სეგმენტაციას სხვადასხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით.

შესყიდული სესხების პორტფელები, როგორც წესი არაუზრუნველყოფილი სესხებია, რაც ამცირებს საჭირო ინვესტიციის მოცულობას და მნიშვნელოვნად ამარტივებს პორტფელების მართვას, უზრუნველყოფილი სესხების მართვისგან განსხვავებით. სასესხო პორტფელის შესყიდვა ხდება სესხის ნომინალურ ღირებულებაზე გაცილებით დაბალ ფასად და ამასთან კომპანიას გადმოეცემა უფლება მისაღებ მთლიან ფულად ნაკადებზე, მათ შორის საპროცენტო სარგებელსა და საკომისიოზე. შესყიდვის ფასის გაანგარიშების დროს კომპანია იყენებს ისტორიულ მონაცემებს.

შესყიდვის დროს შეძენილი სესხის თითოეული პორტფელი აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელსაც ემატება პირდაპირი შესყიდვის დანახარჯები, შემდგომ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის მიერ შეძენილი ყველა სესხის პორტფელი თავისი ბუნებით გაუფასურებულია შესყიდვის მომენტშივე, რაც ასახულია პორტფელის საწყისი აღიარების დროს მის რეალურ ღირებულებაში.

ამორტიზებული ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ხელმძღვანელობა პერიოდულად აფასებს მომავალ ფულად ნაკადებს და შესაბამისად შეძენილი პორტფელების მიმდინარე ღირებულებას. ისტორიული მონაცემები კომპანიის ხელმძღვანელობას ეხმარება სხვადასხვა გარე ფაქტორების გავლენა შეაფასოს მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურების მონიტორინგი ხდება რეგულარულად. პორტფელის გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც პროგნოზირებული ფულადი ნაკადი აჭარბებს რეალურ ფულად ნაკადს. გაუფასურების ხარჯი აისახება შეფასების ცვლილებაში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ ხასიათდება კონცენტრირებული საკრედიტო რისკით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემების სტატუსის მიხედვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს კომპანიაში შექმნილი აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის მეშვეობით, რომელიც დაფუძნებულია 2022 წლის მაისიდან.

კომპანიის ლიკვიდურობის პოლიტიკა, რომელიც შემუშავდა 2022 წლის ივნისში, მოიცავს შემდეგს:


- ✓ ფულადი ნაკადების პროგნოზირება და ლიკვიდური აქტივების საკმარისი დონის შენარჩუნებას დროის სხვადასხვა მონაკვეთში კომპანიის ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად;
- ✓ კომპანიის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისი დაფინანსების გეგმის შენარჩუნებას;
- ✓ დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას და ამით როგორც ქვეყნის შიდა, ისე უცხოური წყაროებიდან კომპანიის მიერ სესხების მიღების შესაძლებლობის გაუმჯობესებას;
- ✓ ლიკვიდურობის კოეფიციენტების ყოველდღიური მონიტორინგს;
- ✓ დროის ნებისმიერ შუალედში აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის მუდმივი მონიტორინგის.

კომპანიის ფინანსურ განყოფილებას აკისრია შემდეგი პასუხისმგებლობა:



- ✓ ინფორმაციის მომზადება ლიკვიდური აქტივების დონეების შესახებ ძირითად ვალუტებში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო);
- ✓ აქტივ-პასივების კომიტეტზე წარადგინოს ყოველკვირეული ანგარიში ფულადი ნაკადების საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ ყველა ძირითად ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო);
- ✓ ლიკვიდური აქტივების დონის მუდმივი კონტროლი/მონიტორინგი.

რისკების მართვისათვის კომპანიას შემუშავებული აქვს პოლიტიკები, პროცედურები და დანერგილია მმართველობითი სტრუქტურა მათი აღსრულებისათვის. დირექტორთა საბჭოს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის ჩარჩოზე, ძირითადი რისკების მეთვალყურეობაზე, რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებზე. სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს, რომ რისკების მიტიგაციის პროცედურები შესაბამისობაში იყოს კომპანიის სტრატეგიასთან. რეგულარული შეხვედრების და რეპორტირების (სადაც რისკის შეფასების სხვადასხვა მაჩვენებლებია წარმოდგენილი) საშუალებით სამეთვალყურეო საბჭო მონიტორინგს უწევს რისკების მართვის ზოგად პროცესს და რისკის პოლიტიკებისა და პროცედურების შესრულებას. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია საერთო რისკების კულტურის დანერგვაზე კომპანიის მასშტაბით, რისკის მიტიგაციის ღონისძიებების მონიტორინგსა და დანერგვაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ კომპანია მოქმედებს დადგენილი რისკების პარამეტრების ფარგლებში. დირექტორთა საბჭო წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს, ან მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ამტკიცებს რისკების მართვასთან დაკავშირებულ პოლიტიკებს და პროცედურებს. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკების სტრატეგიის საერთო სტრატეგიასთან შესაბამისობის მოყვანაში. დირექტორთა საბჭო მეთვალყურეობას უწევს რისკებთან დაკავშირებულ საკითხებს სხვადასხვა რეპორტებისა და კომიტეტების მეშვეობით, სადაც ხდება მიღწეული მაჩვენებლებისა და რისკებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.


10.ძირითადი ფინანსური ინფორმაცია



სასესხო პორტფელის ზრდა განპირობებულია დამატებითი პორტფელების შესყიდვით, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 2023 წელს დაახლოებით 9 მილიონი ლარი შეადგინა.



უკუგება კაპიტალზე და უკუგება აქტივებზე ითვლება საანგარიშგებო წლის მოგების შეფარდებით მიმდინარე და წინა წლის აქტივებისა და კაპიტალის საშუალო არითმეტიკულთან. კოეფიციენტების ზრდა 2023 წელს 2022 წელთან შედარებით განპირობებულია 2023 წლის მოგების ზრდით 6,020,319 ლარიდან 8,179,576 ლარამდე.



ლევერიჯის კოეფიციენტი ითვლება პერიოდის აქტივების შეფარდებით პერიოდის კაპიტალთან. კოეფიციენტის შემცირება განაპირობა 2022 წელთან შედარებით 2023 წელს კაპიტალის ზრდით. 2023 წელს 2022 წელთან შედარებით 4 მილიონი ლარით გაიზარდა კაპიტალი გაუნაწილებელი მოგების შედეგად.

ხარჯები შემოსავლებთან კოეფიციენტი ითვლება პერიოდის საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯების ჯამის შეფარდებით პერიოდის შემოსავლებთან (საპროცენტო და სხვა შემოსავლებს დამატებული პორტფელიდან მიღებული შემოსავლები). მისი ზრდა განპირობებულია შემოსავლების უფრო ნაკლები ტემპით ზრდით, ვიდრე ხარჯების ზრდა იყო. ხარჯების ნაწილში, კი მთავრი ზრდის მიზეზი არის გაზრდილი საპროცენტო ხარჯები, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებული არის 2023 წლის განმავლობაში რეფინანსირების განაკვეთის ზრდასთან, რამდენადაც კომპანიის სასესხო ვალდებულებები არის ლარში და მისი საპროცენტო განაკვეთი მიზმული არის რეფინანსირების განაკვეთზე.

11. კომპანიის პასუხისმგებელი პირების განცხადება

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება - ზარალს. ასევე, წარმოდგენილი მმართველობის

ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს კომპანიის საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 31 მაისს შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი	_____	დავით აღსაბაძე
ფინანსური დირექტორი	_____	ლიკა გოგაძე

ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს კომპანიის საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 31 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი



დავით აღსაბაძე

ლიკა გოგაძე